ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბიძინა ცინცაძის

წლიური ანგარიში

სახელი: ბიძინა

გვარი: ცინცაძე

არჩევის წესი: მაჟორიტარული წესით არჩეული.

კომისია: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია(კომისიის თავმჯდომარე).

ფრაქცია: საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''.

საანგარიშო პერიოდი: 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი:

მორიგი [√]

რიგგარეშე [ ]

1.საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა

1.1. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სხდომების ჯამური რაოდენობა (მორიგი რიგგარეშე) 12

1.2. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ სხდომებზე დასწრების ჯამური რაოდენობა (მორიგი რიგგარეშე 6

1.3. საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირება

- ინიცირებული გადაწყვეტილების პროექტის დასახელება

საანგარიშო პერიოდში ჩემს მიერ ინიცირებული და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ მოსმენილი იქნა შემდეგი საკითხები:

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

2.ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.
3. ანგარიში ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურება ,,სხივის" მიერ 2022 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.
4.ინფორმაცია ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2022 წელში გამოვლენილ დარღვევებისა და რეაგირების თაობაზე.
5.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზებზე არსებული მდგომარეობისა და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.
6.2023 წლის საკურორტო სეზონის მზადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ
7.2023 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ
8. ინფრასტრუქტურის კუთხით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2023 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.
9.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.
10.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაცია მშენებლობის ნებართვების გაცემის თაობაზე.
11.ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.
12.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.
13.ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

- პროექტის მოკლე აღწერა:

- დამდგარი შედეგი:

1.4. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი;
2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ;
3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისა და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ (განკარგულება N5. 30. 01. 2023 წ);

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების დამტკიცების შესახებ;
5. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ(განკარგულება N12. 28. 03. 2023 წ.);
6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის პროექტის დამტკიცების შესახებ (განკარგულება N 26. 25. 05. 2023 წ);
7. 2023 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;
8. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალიწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2023-2024 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ;
9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის საქმეში გაწეულ მუშაობაზე, მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ;
10. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ (განკარგულება N 38, 29. 08. 2023 წ).

1.5. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

მსგავსი საკითხი არ ყოფილა.

2.საკრებულოს კომისიებში, ფრაქციაში და საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა

2.1.სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი	11
2.2. საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე დასწრების რაოდენობა	11
2.3. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომების რაოდენობა	
2.4. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომებზე დასწრება	
2.5. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა, რომლის წევრიც არის საკრებულოს წევრი	11
2.6. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ფრაქციის სხდომაზე დასწრების რაოდენობა	7

3.საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი დასმული შეკითხვები, მიღებული პასუხები:

- ანგარიშვალდებული პირი/ორგანო:
  ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი; მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი.

- დასმული შეკითხვა:
  მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, წყალმომარაგების სისტემების არ მქონე სოფლებში რა ღონისძიებები იქნა დაგეგმილი, მათ შორის წინა ანგარიშში მოხსენიებული სოფელ ბურნათსა და ფარცხმის წყალმომარაგებაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

- მიღებული პასუხი:
  მერის მიერ განმარტებული იქნა 2023 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ და იმ სამოქმედო გეგმის შესახებ რაც დაგეგმილია მომდევნო წლის განმავლობაში, მათ შორის აღსანიშნავია რომ სოფელ ფარცხმაში წყალმომარაგების პრობლემებთან მიმართებაში ჩართულია საქართველოს რეგიონალური განვითრებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში შემავალი ს.ს.ი.პ ,,წყალმომარაგების კომპანია" , რომელმაც ადგილზე შეისწავლა აღნიშნული პრობლემა და განახორციელა საპროექტო სამუშაოები. რის მიხედვითაც განხორციელდება სოფელ ფარცხმაში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა. ასევე შესწავლილი იქნა სოფელ ბურნათში წყალმომარაგებაში არსებული პრობლემები და დაისახა სამომავლო გეგმები ამ მიმართულებით.

4. ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა:

4.1. საანგარიშო პერიოდში მიღებაზე მოსული მოქალაქეთა რაოდენობა | 315 |

4.2.საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრებზე დამსწრეთა რაოდენობა | |

4.3.მოქალაქეების მიერ დასმული საკითხები:

- საკითხების დასახელება

  -საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;

-წყალმომარაგების სისტემების უზრუნველყოფა;

-ჯანმრთელობის და სოციალური პირობების გაუმჯობესება;

-სტიქიით დაზიანებული სახლების რეაბილიტაცია/განსახლება.

- საკრებულოს წევრის მიერ მიღებული ზომები:
  მოვახდინეთ მოსახლეობის საჭიროებების შესწავლის შედეგების დახარისხება და პრიორიტეტული პრობლემების იდენტიფიცირება. რაც სამუშაო შეხვედრების რეჟიმში გავაცანით მუნიციპალიტეტს მერსა და შესაბამისი პროფილის სამსახურებს. როგორც ადგილობრივმა და სამხარეო ადმინისტრაციის, ასევე ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი კომისიების მიერ შესწავლილი იქნა არსებული პრობლემები და დაისახა მისი გადაჭრის გზები შესაძლებლობის ფარგლებში.

- მიღებული შედეგები:
  -მოეწყო 3.5 იდან 4 კილომეტრამდე ასფალტ-ბეტონის გზა;
  -შუა ფარცხმაში რეაბილიტირებული იქნა არსებული წყალმომარაგების სისტემა;
  -მოსახლეობის მიმართვიანობის საფუძველზე, ჩემი შუამდგომლობით და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოწვეულ იქნა გეოლოგები, რომლებმაც ადგილზე შეისწავლა სტიქიით დაზარალებული ოჯახების მდგომარეობა. რომლებმაც წარმოადგინეს შესაბამისი დასკვნები და აღნიშნული დასკვნების საფუძველზე 15 ოჯახს მიეცა განსახლების პირობა.
  -მერიის სოციალური დახმარების პროგრამით ისარგებლა 250 ადამიანმა.

5. ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის სხვა ფორმები

5.1. მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის შედეგების მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში.

სტადიონების მოწყობა, ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია, სტიქიით დაზიანებული ადგილების რეაბილიტაცია, კულტურულ-საგანმანათლებლო და საბავშვო/გასართობი სივრცეების მოწყობა.

5.2. საჯარო, კერძო უწყებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმებისა და გამოცდილების აღწერა (არსებობის შემთხვევაში)

აქტიურად ვთანამშრომლობ სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მაგალითად, საქართველოს სასოფლო დარბაზის „თანამშრომლობა ადგილობრივი განვითარებისათვის“ პროექტის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერით სოფელ ბურნათის ცენტრში მოეწყო რეკრეაციული ზონა. არასამთავრობო ორგანიზაციის ,,ქალები ქალებისთვის,, ხელშეწყობით მოეწყო რამდენიმე შეხვედრა ქალთა არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და შემდგომში მათი აღმოფხვრის მიზნით დაიგეგმა აქტივობები.

5.3. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა (შეხვედრებზე, ტრენინგებზე დასწრება, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებსა თუ საბჭოებში მონაწილეობა):

6. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ:

-სოფლის ცენტრების რეაბილიტაცია, მათ შორის ადმინისტრაციული შენობების, მგზავრთა მოსაცდელების მოწყობა, ასევე, სპორტულ-კულტურულ, საგანმანათლებლო სივრცეების რეაბილიტაცია/მოწყობა;

-ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება;

-დაწყებული პროექტების დასრულება და მომდევნო წლების პრიორიტეტების დოკუმენტებზე მუშაობა.

ანგარიშის მომზადების თარიღი: 09.10.2023 წელი

ხელმოწერა: